პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის 19 ნოემბრის

№ 48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N48 დადგენილებაში (სსმ, 21.11.2014წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „8. წამყვანი სპეციალისტი მძიმე ეკონომიურ პირობებში, სტიქიით დაზარალებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების საკითხებში".

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. სოციალურ საკითხთა განყოფილება

სოციალურ საკითხთა განყოფილება უზრუნველყოფს:

1. მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავებას;
2. სოციალური დახმარებისა და მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;
3. ლტოლვილთა საყოფაცხოვრებო პირობების და მომსახურების გაუმჯობესებას;
4. დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზს;
5. ჰუმანიტარული დახმარებების განაწილებას;
6. სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სოციალური დახმარებების ღონისძიებების განხორციელებას.
7. ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;
8. ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;
9. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული

უფლებამოსილებების განხორციელების კოორდინაციას;
10. ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგს;
11. ვეტერანთა აღრიცხვიანობის მოწესრიგებას და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ზომების მიღებას;
12. სამედიცინო დაზღვევის ახალი ფორმების დანერგვის ხელშეწყობას;
13. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ და დაზარალებულ ოჯახთა მდგომარეობის შესწავლას და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზომების მიღებას;
14. შშმ პირთა აღრიცხვიანობის მოწესრიგებას და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზომების მიღებას;
15. შშმ პირებისათვის დახმარების ღონისძიებების განხორციელებას;“

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: ნიკოლოზ დუმბაძემ